პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება № ----
2021წ.--------- თებერვალი
ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 86-ე მუხლის, 87-ე მუხლის ,,ვ“ და ,,ზ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშგების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ა დ გ ე ნ ს:

მუხლი 1

დამტკიცდეს წლიური ანგარიშის ფორმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, დანართი N1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დამტკიცდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმა, დანართი N2-ის შესაბამისად.

მუხლი 3

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მომზადების მიზნით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციებმა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინონ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით მათთვის გათვალისწინებული ასიგნებების წლიური შესრულების ანგარიში – საბიუჯეტო წლის დამთავრებიდან არა უგვიანეს 1 თვისა, დანართი N1-ის და დანართი N2-ის მიხედვით, რომელიც სავალდებულო წესით, თან დაერთოს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშს.

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**

წლიური ანგარიში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება)

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა:

- პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ----------

პროგრამის განმახორციელებელი: ----------

პროგრამული კოდი	დასახელება	ათას ლარებში				
		მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გეგმა	მუნიციპალიტეტის წლიური ბიუჯეტით დაზუსტებული გეგმა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან შედარებით	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1	2	3	4	5	6	7
	პროგრამა					
	ქვეპროგრამა 1					
	ქვეპროგრამა 2					

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში, განხორციელებული ღონისძიებების აღწერა ---------
---

დასახული საბოლოო შედეგები ----------

მიღწეული საბოლოო შედეგები ----------

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. ----------

2. ----------

3. ----------

4. ----------

5. ----------

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

- ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ----------

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: ----------

საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელებული ღონისძიებების აღწერა -----
---

დასახული საბოლოო შედეგები ----------

მიღწეული საბოლოო შედეგები ----------

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. ----------

2. ----------

3. ----------

4. ----------

5. ----------

განმარტება დასახულ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე

საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელი: ----------

დანართი N2

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში

(საბიუჯეტო ორგანიზაციის დასახელება)

პროგრამული კოდი	დასახელება	ათას ლარებში				
		დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	საკასო შესრულება	საკასო შესრულების შეფარდება წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან (%) (N/N)	განმარტება იმ პროგრამულ კოდებზე, რომელთა დაზუსტებულ და საკასო მაჩვენებლებს შორის შეუსაბამობა აღემატება 30%-ს
1	2	3	4	5	6	7
	საბიუჯეტო ორგანიზაციის მთლიანი ასიგნებები					
	პროგრამა 1					
	პროგრამა 2					
	პროგრამა 3					

საბიუჯეტო ორგანიზაციის ხელმძღვანელი: ----------

განმარტებითი ბარათი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო.

2. პროექტის ავტორი „საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი“ და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე დანიშნული მომხსენებელი: გიორგი ღურჯუმელიძე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ა) პროექტის მიღების მიზეზი:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტის მიღება უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლიური ანგარიშების მერიაში წარმოდგენის პროცესი სისტემურ, მოწესრიგებულ ხასიათს ატარებდეს და რომ არსებობდეს წინასწარ დადგენილი სტანდარტული წესი, რომლის საფუძველზეც და რომლის მიხედვითაც მოხდება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის სტანდარტული ფორმების განსაზღვრა, ამ საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მათი შევსება და დადგენილ ვადაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიისთვის წარდგენა.

ბ) პროექტის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ბ.ა) საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 86-ე და 87-ე მუხლების მოთხოვნათა გათვალისწინებით, შემუშავებული (მომზადებული) იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის ფორმებისა და მათი წარდგენის ვადის დამტკიცების თაობაზე.

ბ.ბ) პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

4. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

5. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2021 წლის - მარტი.